



## სამუშაო შეხვედრა რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონში

ამბროლაურის კულტურის ცენტრი,  
თამარ მეფის ქ. 1

2015 წლის 13 მარტი

### სესია „ხელოვნება“

**მოდერატორი:** ზვიად მჭედლიშვილი, ქართულ-კავკასიური კულტურის, ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ფონდის აღმასრულებელი დირექტორი

**რეპორტიორი:** შორენა ციცავი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის კულტურის პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომელი

#### მონაწილეები :

ლადო გოგოლაძე, ამბროლაურის კულტურის სახლის უფროსი / თეატრის დირექტორი

თემურ ცხვედიანი, ამბროლაურის სახალხო თეატრის რეჟისორი

იოსებ გენაძე, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის ამბროლაურის კულტურის ცენტრის მუსიკალური ხელმძღვანელი

ბექა გავოშიძე, ა.ა.ი.პ. თვითმმართველი თემის ამბროლაურის კულტურის ცენტრის ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზატორი

მარადი ლიპარტელიანი, ლენტეხის კულტურის სამსახურის უფროსი

ქეთინო ფირცხელაური, ლენტეხის სპორტის, ტურიზმის განყოფილების უფროსი

ანა ლიპარტელიანი, ისტორიკოსი (ლენტეხი)

მალხაზ ჯაფარიძე, ონის კულტურის ცენტრის დირექტორი

ია ლობჯანიძე, ა.ა.ი.პ. კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობების ცენტრის დირექტორი  
ირემა ჯაფარიძე, ანსამბლ „რაჭის“ ხელმძღვანელი, ონი  
ლევან შერაზადიშვილი, რეჟისორი, ონი  
ლალა მარგიანი, ანსამბლი „ბუბა“ ხელმძღვანელი, ონი  
ელისო ჩიკვილაძე, სამუსიკო სკოლის პედაგოგი, ონი  
თამარ ბურდილაძე, ონის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი  
გიორგი კვირიკაშვილი, ცაგერის გამგეობის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი  
გიორგი კოპალიანი, ცაგერის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე  
დარეჯან სალინაძე, ცაგერის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე  
ხათუნა სილაგაძე, ცაგერის კულტურის ცენტრის სამხატვრო ხელმძღვანელი  
ზურაბ ჩანქსელიანი, ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრის დირექტორი  
მარინა სვანიძე, ცაგერის ტელესაინფორმაციო მუშაობის სპეციალისტი  
ნათია დაშნიანი, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდა პოეტი  
დავით დავითულიანი, ესთეტიკური აღზრდის ცენტრის დირექტორი  
რამაზ კვირიკაშვილი, კულტურის სამსახურის სპეციალისტი, ცაგერი

### დისკუსიის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები:

1. მოძველებული ან არარსებული ტექნიკური ბაზა
2. მოშლილი ინფრასტრუქტურა
3. პედაგოგთა დაბალი ანაზღაურება
4. კადრების სიმწირე. მათი გადამზადებისა და სერტიფიცირების საჭიროება
5. ინფორმაციის ნაკლებობა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე / მედიის ნაკლები ინტერესი კულტურისადმი
6. პროფესიული თეატრალური კრიტიკის სიმწირე/არარსებობა
7. ფოლკლორული ანსამბლებისათვის ფინანსური დახმარების არარსებობა
8. მზარდი მიგრაცია (ახალგაზრდებს აღარაფერი აკავებს რეგიონში, იმიტომ, რომ აღარ არსებობს კულტურის კერები, კინო და თეატრი) / მაყურებლის სიმწირე/დაბალი ცნობიერება კულტურის როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში
9. კულტურის სფეროში მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის არქონა
10. აღარ ხდება ფოლკლორისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშების მოძიება კადრებისა და ფინანსების არარსებობის გამო
11. აღარ არსებობს უურნალ-გაზეთები. საჭიროა, შეიქმნას რეგიონული ტელევიზიები
12. მთის კანონის წინააღმდეგობები / ლენტეხს არ მიენიჭა მაღალმთიანი რეგიონის სტატუსი

13. წინააღმდეგობრიობა კანონში ხე-ტყის შესახებ / ველარ ამზადებენ ტრადიციულ ქართულ ავეჯს (მაგ. სანაახელი, რომელიც მთლიანი ხის გამოყენებას მოითხოვს)
14. საჭიროა, შეიქმნას მონაცემთა ბაზა კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების შესახებ (მონაცემებით იმის შესახებ, თუ ვინ რას აკეთებს)
15. საჭიროა, შეიქმნას რაიმე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის განათლების მიღების გავრცელების საშუალებას თბილისში
16. აღდგეს და დაარსდეს ფესტივალები, როგორც სახალხო, ისე პროფესიული თეატრისათვის
17. არ იწარმოება რეგიონული კვლევები

გამოვლინება/ეფექტები

<p>რეგიონში კულტურის სფეროს სტრატეგიული გეგმის არარსებობა</p>	<p>კულტურის სფეროს მიმართ მოსახლეობაში მოტივაციის დაბალი დონე განათლება/ დასაქმება/ სარგებლობა.</p>	<p>დაფინანსების სისტემის სისუსტე ალტერნატიული დაფინანსების ფონდების არარსებობა.</p>	<p>კულტურის მოღვაწეთა წახალისების მექანიზმების სისუსტე</p>	<p>ინფორმაციის ნაკლებობა კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე ადგილობრივი/ ცენტრალური/ საერთაშორისო/ მედიის დაბალი ინტერესი კულტურისადმი</p>	<p>ახალგაზრდების მიგრაციის პრობლემა</p>	<p>შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერის ნაკლებობა</p>
<p>სახელოვნებო სფეროში პედაგოგთა დაბალი ანაზღაურება</p>	<p>კულტურის პოპულარიზაციის მეთოდის სისუსტე</p>	<p>პროფესიონალური კრიტიკის ინსტიტუტის სისუსტე</p>	<p>მოძველებული ინფრასტრუქტურა და ტექნიკური ბაზა</p>	<p>შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების მექანიზმების მოძველებული მეთოდოლოგია</p>	<p>პროფესიონალი კადრების სიმწირე არსებული და სერტიფიცირების საჭიროება.</p>	<p>პრობლემა</p>
<p>რეგიონში კულტურის სფეროს პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე</p>						
<p>სუსტი კომუნიკაცია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების/ რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე/ თავად კულტურის სფეროში სექტორებს შორის.</p>	<p>საჯარო სკოლებში შემოქმედებითი განათლების ნაკლებობა</p>	<p>განათლების დაბალი ხარისხი პროფესიული/ სახელოვნებო/ საშუალო.</p>	<p>ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზის მოძველებული მეთოდოლოგია ადგილობრივი ხელისუფლების სამსახურები/ კულტურის ორგანიზაციები/ მოძველებული ინფორმაციული ბაზა/ კვლევების ნაკლებობა.</p>	<p>სფეროს რეგულირების მოძველებული ნორმატიული აქტები</p>	<p>მიზეზები</p>	

## ოქმის დანართი :

დისკუსიის შემდეგ, ონის, ცაგერის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტების კულტურის სამსახურების უფროსების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, სადაც აღწერილია კულტურის სფეროში არსებული დაბრკოლებები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები.

### ონის რაიონის მოქალაქეთა ინიციატივები საქართველოში კულტურის სფეროს განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის

#### 1. პრობლემა

ქართული კულტურისა და ხელოვნებისადმი არასწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბება

**მიზეზი:** მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები და უკანასკნელი 25 წელი (მინისძვრა, ომები, უყურადღებობა ცენტრიდან);

**გადაჭრის გზა :**

- სახელმწიფოსაგან მორალური და ეკონომიური მხარდაჭერის განხორციელება
- გაუქმებული კულტურის ცენტრის აღდგენა, მათთან სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფა
- კულტურის ცენტრების და სხვა დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და უზრუნველყოფა
- ადამიანური რესურსების მოზიდვა, კვალიფიციური სპეციალისტების შერჩევა (რეგიონული კადრების შერჩევაში მონაწილეობა მიიღოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ);
- მწვავე დემოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ განხორციელდეს კომპლექსური სამუშაოები რეგიონიდან წასული სპეციალისტების უკან დასაბრუნებლად (მატერიალური და სოციალური დაინტერესებებით)
- კულტურის სფეროში მოღვაწეთა მატერიალური უზრუნველყოფა (ხელფასი უნდა გამოხატავდეს სახელმწიფოს დამოკიდებულებას სპეციალისტის მიმართ)

- ახალგაზრდობაში ქართული კულტურის პოპულარიზაციისათვის შესაბამისი პროექტების და აქტივობების დაგეგმვა
- გარდაცვლილ მოღვაწეთა მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა, მათი საქმიანობის ფართო მასშტაბისათვის გაცნობა

## 2. რეგიონული კულტურის ინტეგრაცია რესპუბლიკურ და მსოფლიო კულტურულ პროცესებში

ზემო რაჭა უდიდესი ტურისტული პოტენციალის მქონე სივრცეა. ასევე საოცრად მდიდარია ფოლკლორით და ხალხური რეწვის ტრადიციებით. საქართველოს ტურისტულმა კომპანიებმა ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით უნდა შექმნან ე. წ. ფოლკ-ტურები, რომელიც გარკვეულ შემოსავალს მოუტანს ადგილობრივ მაცხოვრებელს და ჩვენს ფოლკლორს ღირსეულად წარმოაჩინოს უცხოელთა წინაშე.

ინფორმაცია უნდა განთავსდეს ტურისტული კომპანიების საიტებზე და პოსტერებში.

**მოტივაციის ამაღლება:** სამინისტრო უნდა დაეხმაროს რეგიონის კოლექტივებს ტელევიზიებისა და მასმედიის საშუალებით მათი მუშაობის წარმოჩენაში. ასევე, ჩართოს ისინი რესპუბლიკურ და საერთაშორისო ფესტივალებში, დაეხმაროს მათ საჭირო დაფინანსების მოძიებაში.

**ახალგაზრდა კადრების ხელშეწყობა :** კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად შეიმუშავოს პროექტი, რომელიც დაეხმარება რეგიონის ნიჭიერ ახალგაზრდებს გაიარონ შესაბამისი მომზადება სახელოვნებო სასწავლებლებში გასავლელი ე.წ. ტურების მომზადებაში. წარმატების. წარმატების შემთხვევაში დააფინანსოს მათი სწავლა, უკან დაბრუნების პირობით, ხელი შეუწყოს მათ შემდგომ დასაქმებას.

## 3. სახალხო ანსამბლი

**პრობლემა:** ადამიანური რესურსის სიმცირე, დაბალი ანაზღაურება, კულტურულ აქტივობებში ჩართულობის სიმცირე, მათ მიერ შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის უკვდავყოფა.

**მიზეზი :** დემოგრაფიული მდგომარეობა, სამოქალაქო ცნობიერებაში კულტურისადმი არასწორი დამოკიდებულების არსებობა.

**პრობლემის მოგვარების გზა:**

- ადამიანური რესურსების მოზიდვა, მატერიალური დაინტერესების უზრუნველყოფა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა

- ანსამბლის წევრებისა და ხელმძღვანელისათვის შესაბამისი ანაზღაურების დანესება სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად (ადგილობრივ ინსტიტუტებთან ურთიერთობა დამამკირებელ მდგომარეობაში აგდებს ანსამბლის ხელმძღვანელობასა და წევრებს)
- ანსამბლის ღვაწლის დაფასება, CD და DVD ალბომების გამოცემა, გასტროლებსა და ფესტივალებში ჩართულობის უზრუნველყოფა
- რეგიონში ან მის გარეთ უნდა მოიძებნოს ერთი ან რამდენიმე მენარმე, ბიზნესმენი, რომელსაც სახელმწიფო დაავალეხს მეურვეობა გაუწიოს კონკრეტულ სახალხო ანსამბლს და სანაცვლოდ, მენარმეს მიეცეს შეღავათები საგადასახადო სფეროში.

#### 4. ფოლკლორული და თეატრალური ფესტივალების დაფუძნება და მათი ხელშეწყობა

ონის რაიონი მდიდარია კულტურული ტრადიციებით. აქ, ქალაქ ონში ამჟამად არსებობს საუკეთესო ბაზა იმისათვის, რომ დაფუძნდეს გიგა ჯაფარიძის სახელობის სახალხო თეატრების ფესტივალი, ასევე შალვა ჯაფარიძის სახელობის ფოლკლორული ფესტივალი. ფესტივალის არსებობა ხელს შეუწყობს :

- რაიონის მიმართ მეტი ინტერესის წარმოშობას
- ტურისტული პოტენციალის გააქტიურებას
- მოსახლეობაში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას
- ქალაქში კულტურული ცხოვრების გაცოცხლებას.

#### 5. მოსახლეობის მორალური მხარდაჭერა

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ონის რაიონს უამრავი უბედურება დაატყდა თავს, ვგულისხმობთ დამანგრეველ მიწისძვრებსა და 2008 წლის ომს, ონელ მოსახლეობას არ უგრძნია ცენტრიდან კულტურის მოღვაწეთა მორალური მხარდაჭერა. ცენტრიდან დაშორების გამო, ჩვენი მოსახლეობა მოკლებულია კულტურის სფეროში მიმდინარე სიახლეებს. კარგი იქნება, თუ დაინტერესებულ პირებს ექნებათ საშუალება პერიოდულად ჩავიდნენ დედაქალაქში (ტრანსპორტით უზრუნველყოფა) და უფასოდ დაესწრონ სპექტაკლებსა და კონცერტებს.

## მოსაზრებები ცაგერის მუნიციპალიტეტში კულტურის სტრატეგიულ მიმართულებებთან დაკავშირებით

### ხელოვნების მიმართულებით :

- ლეჩხუმის კუთხის ფოლკლორის მოძიება - განვითარების და შემდგომი პოპულარიზაციის კომპლექსურ ღონისძიებათა პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.
- მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრის, საბავშვო თეატრების, მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესება და პროგრამების დაფინანსება.
- ფოლკლორული ფესტივალების ჩატარების ხელშეწყობა.
- სახელოვნებო სკოლების (მუსიკალური და სამხატვრო) საქმიანობის ხელშეწყობა და მეთოდური დახმარების ღონისძიების გატარება.
- რენვის, ხეზე კვეთის და გობელენის სახელოსნოების აღჭურვა.
- ანიმაციის განვითარება, ანიმაციური ფილმების ფესტივალის ჩატარება ბავშვებისათვის.
- ქ. ცაგერში თანამედროვე ტიპის კინოთეატრის აშენება და მისი ჩაყენება მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების სამსახურში.
- კულტურის ცენტრის, მწვანე თეატრის, თემებში სასოფლო კლუბების, შენობების რეაბილიტაციის პროგრამის განხორციელება.

### კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით

უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ლეჩხუმის კულტურული ძეგლების შესწავლა და მათთვის კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება.

ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს ადრეფეოდალური ხანის ძეგლების: დეხვირის, მურის, ორბელის, ზუბის ციხე-კომპლექსების აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

ეკლესია-მონასტრების : გვესოს (IX-X ს.ს.), გონის (X-XI ს.ს.), თაბორის (XII ს.), ხვამლის (XII ს.ს) აღდგენა.

ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ქ. ცაგერში წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის გაგრძელება და დამთავრება.



ლექსუმის ტერიტორიაზე არსებობს არქეოლოგიურად საინტერესო ადგილები : დეხვირი, ნასპერი, ზუბი, გონი, ლაილაში, ნაკურალეში, სურმეში, სადაც არის ნიშნები კოლხური ბრინჯაოს ხანის და ადამიანთა ნასახლარები. საჭიროა არქეოლოგიური გათხრების ფინანსური უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტში პრობლემატურია ბიბლიოთეკების ახალი ლიტერატურით და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვის საკითხი, გასაუმჯობესებელია სოფლის საბიბლიოთეკო განყოფილებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

### **შემოქმედებითი ინდუსტრიის მიმართულებით**

- პრიორიტეტს წარმოადგენს შემოქმედებითი ინდუსტრიის დიზაინის, მოდის, არქიტექტურის, ციფრული გასართობ-შემეცნებითი პროგრამების დანერგვა და განვითარება.  
ამ კუთხით, მუნიციპალიტეტში უნდა გაიხსნას მოდის და დიზაინის სახლი. მოეწყოს ჩვენებები ცნობილი დიზაინერების მონაწილეობით. მაღალ-პროფესიულ დონეზე იქნას გადამწყვეტილი ე. ცაგერის არქიტექტურული იერ-სახის მონესრიგების პრობლემა.
- საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისთვის პრიორიტეტულია რეგიონული ტელევიზიის ჩამოყალიბება.
- მუნიციპალიტეტში ძალზე მნიშვნელოვანია რეგულარული პრესის ჩამოყალიბება და საგამომცემლო სტამბის ამოქმედება.

## ამბროლაურის რაიონი

### კულტურის სფეროს განვითარების მთავარი პრიორიტეტები

1. ტექნიკური განვითარება (კომპიუტერული, ელექტრონული მართვითი ცენტრების შექმნა, გახმოვანება, განათების, ეფექტების კუთხით)
2. სტუდიური განვითარება (სამუსიკო, ქორეოგრაფიული და სხვა. კინოხელოვნება, ფოტოხელოვნება)
3. სიახლეების დანერგვა (3D ფორმატის კინო, ელექტრონული მედიათეკა, სარდაფის სტილის თეატრი და სხვა)
4. სამუშაო პროგრამების მასშტაბური ელექტრონული დაგეგმარება (იგულისხმება მთელი საქართველოს მასშტაბით მიმდინარე კულტურულ პროცესებზე მიზმა, ჩვენი კულტურული ცხოვრების განვითარებისათვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა, ამ რეალობის გათვალისწინებით სამუშაო პროგრამის შედგენა, ბიუჯეტის გათვლა)
5. საკადრო გადამზადება
6. საფესტივალო, ტურისტული განვითარება
7. პროექტებითა და პროგრამებით მუშაობის სტილის დანერგვა, ამ მიდგომებით დამატებითი ფინანსების მოპოვება
8. დეფიციტური კადრები (ლოტბარები, რეჟისორები, კომპოზიტორები, ფოტოხელოვანები და სხვა). სწავლების დაფინანსება.